





### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
  - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
  - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
  - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
  - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
  - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
  - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
  - სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
  - გასწვება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100

**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი**  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აღიონზე  
**«ალიონი»**

## საერთო კრებები ღიხაურსა და ჭანიეთში



რეგიონში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საერთო კრებები აქტიურად მიმდინარეობს. საჯარო კონსულტაციები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ღიხაურში და ჭანიეთში ჩატარდა. მოსახლეობის მიერ, პრიორიტეტების შერჩევის პროცესს, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თითბაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. ღიხაურისა და აჭის მაცხოვრებელთა პრიორიტეტები: ღიხაურის ცენტრის კეთილმოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შექმნა. მოსაცდელისა და სასფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ჭანიეთის მაცხოვრებელთა პრიორიტეტები: სასფლაოს გზა, სტადიონი და შიდა გზების მოწყობა. საბავშვო ბაღისთვის ატრაქციონების შექმნა, მოსაცდელის მონტაჟი და მილხიდების რეაბილიტაცია. ქაქუთში რკინა-ბეტონის გზების მოწყობა და პირველ ბრივადში წყლის მილის შექმნა აირჩიეს.

## სილაურში თხილის პლანტაციების პირველი წაშლა ჩატარდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში სადემონსტრაციო ნაკვეთში დაინტერესებული ფერმერებისათვის თხილის პლანტაციის პირველი წაშლა ჩატარდა. შეწავლით ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ივანე ჯანაშია და მისი მოადგილე ირაკლი ჯანაშია.

## „მომაგლის თაობის“ უმაჯამებელი ღონისძიება



**ალიონი.** 12 თებერვალს, „გურის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ორგანიზებით, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომაგლის თაობა“ შემავალბელი ღონისძიება. ღონისძიებაზე შეესაუბრა პროგრამის ფარგლებში 2018 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობები. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ამორჩეული საკლუბო და საკლასო პროექტები და ინიციატივები. ასევე მოეწყო პროგრამის პარტნიორ სკოლებში ჩამოყალიბებული სამოქალაქო კლუბების მიერ განხორციელებული საქმიანობების ამსახველი ფოტომასალის დათვალიერება-შეფასება. ღონისძიებაზე დასახელდნენ პროგრამის ფარგლებში სასკოლო და პედაგოგთა ტექნიკის კონკურსის გამარჯვებული აქტიური სკოლები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ღონისძიებას დაესწრო პროგრამის პარტნიორი სკოლების (კვირიკეთი, ბოხვაური, ცხემლისდვი, ვაკი-ჯვარი, ასკანა, ბაილეთი, წყალწმინდა) პედაგოგები, მოსწავლეები, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის Internacional-ის და USAID-ის წარმომადგენლები. პროგრამის „მომაგლის თაობა“ მიზანია გაუმჯობესდეს სკოლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამა და მოხდეს მოსწავლეების მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების გაძლიერების გზით, ხელი შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდას გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობისათვის. სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომაგლის თაობას“ ახორციელებს Internacional-ი ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა საქართველოს II რეგიონში მიმდინარეობს. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია გურიის რეგიონში.

## საქართველოში მხოლოდ რეგიონული ნაბავსაყრელები იქნება

**ალიონი.** საქართველოში მყარი ნარჩენების მართვაზე გაზეთი „ალიონი“ ესაუბრა ამ დარგის უწყვეტის დირექტორს, ბატონ გიორგი შუბოშვილს, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ქ. ქობულეთში გამართულ მედა ტურზე იმყოფებოდა. **გიორგი შუბოშვილი:** მერიის ნაგავსაყრელები, რომელიც ამჟამად ოზურგეთსა და ურეკს ემსახურება, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩაუტარდეს. სამომავლოდ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელები მსხვილ, რეგიონულ ნაგავსაყრელებში უნდა მოვაქციოთ. ჩვენ უკვე დავხურეთ ურეკისა და ლანჩხუთის ნაგავსაყრელები. ურეკს ამჟამად მერიის ნაგავსაყრელი ემსახურება, ხოლო ლანჩხუთის - სამტრედიისა და ფოთისა. იგეგმება ჩოხატაურის და ოზურგეთის ამჟამინდელი ნაგავსაყრელის დახურვა. თუ სად იქნება რეგიონული ნაგავსაყრელი, აღნიშნულზე ჯერ გადაწყვეტილება არ მივიღებთ. არსებული ნაგავსაყრელები დახურება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, დაკონსერვდება და რეკონსტრუქციული იქნება. უკვე დაიხურა ან დაიხურება 23 ნაგავსაყრელი, ხოლო 31 რეაბილიტაცია იგეგმება. -სამომავლოდ რამდენი ახალი მყარი



ნარჩენების ნაგავსაყრელის აგებას გეგმით? -საქართველოში, ევროსტანდარტების დაცვით, 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი უნდა მოეწყოს, გარდა ამისა, იქნება თბილისისა და რუსთავის ამჟამინდელი ნაგავსაყრელები. ადგილებზე მოეწყობა მყარი ნარჩენების სორტირების საშუალო, მოხდება ნარჩენების დასარისხება. ყველაფერი ევროპული გამოცდილებით იქნება. -და რომელი ევროპული ქვეყნის გამოცდილებას იყენებთ. -ჩვენ ვერმანულ გამოცდილებას ვიყენებთ და მყარი ნარჩენების მართვაში ვერმანული სპეციალისტები ვიწვევთ კონსულტაციებს.

თის მერის მოადგილე ალექსანდრე სურგულაძე, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ალექო მამეშვილი, სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ამირან გირკელიძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს უფროსი ნინო შეწირული დაესწრნენ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს თხილის მწარმოებელი ფერმერების ცნობიერებისა და ცოდნის გაზრდის საკითხებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და თანამშემუშევრებთან ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო ტრენინგები. დღეს სოფელ სილაურში სადემონსტრაციო ნაკვეთზე

სპეციალურად დაინტერესებული ფერმერებისათვის შეწავლის პრაქტიკული სამუშაოები დავიწყეთ. წლის განმავლობაში ვგეგმავთ სხვადასხვა აგრო ღონისძიებას, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს შემოდგომაზე სასურველი შედეგი მივიღოთ“ - აღნიშნა ალექო მამეშვილმა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოთხი სადემონსტრაციო ნაკვეთი-სილაურში, გურიაში, მაკვანეთსა და ბოხვაურში არსებობს. მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი ტრანსპორტით ახდენს მეზობელი სოფლებიდან ფერმერების ჩამოყვანას და ეტაპობრივად სხვადასხვა აგრო ღონისძიებების ადგილზე გაცნობას.

## მაგნიტური ქვიშის ანომალია გურიის ტურიზმის განვითარებაში

ურეკში, სასტუმრო „თბილისის“ საკონფერენციო დარბაზში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია „გრივოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალია გურიის ტურიზმის განვითარების საქმეში“. კონფერენციის მონაწილეები კვლევის შედეგებს გაეცნენ, რომელიც გრივოლეთის ზღვისპირა ორკილომეტრიან სანაპირო ზოლზე, სამ პარალელურ პროფილზე ჩატარდა. იმსჯელებს სამკურნალო ტურიზმის საკითხებზე და გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის ასახვის მნიშვნელობაზე. კვლევები, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის პროფესორებმა ჩატარეს.



# ქართული სასამართლო, რომელიც თავად გაურკვევლობაშია

ნობ მათ განხილულ საქმეებს. ამ კონტექსტში მე ვიცი ლევან მურუსიძესაც. ის არის ნამდვილად დამოუკიდებელი, ამასთან, კომპეტენტური და პროფესიონალი. ეს სამი კრიტერიუმი, რომელიც მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს. მსოფლიოში სხვა კრიტერიუმები არ არსებობს. მე ვიცი, რომ ის არა მარტო დამოუკიდებელი, კომპეტენტური და პროფესიონალია, უკვე ძალიან მტკიცე გახდა. ღირსეულად უძლებს აძენ ლანდოვაინებს, შერაცხვას. მოსამართლე შერაცხვა-ფიცილი, დამცირებელი, მწასთან გასწორებული როგორ განახორციელებს სხვისი უფლების დაცვას. თვითონაც არ არის დაცული. დღევანდელი სასამართლო ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ არის საუკეთესო, მაგრამ თუ ვინმე მუშაობს, ეს ნამდვილად არის სასამართლო ხელისუფლება. მე მქონდა ბევრი საქმე, რომელზეც ვერ მივაღწიე კანონიერ განაჩენს პირველ და მეორე ინსტანციაში, მაგრამ უზენაესს სასამართლომ ყოველთვის დადებითად გადაწყვიტა. მარამ ცისკაბე ცნობილ საიში პირველ ნომრად, როგორ შეიძლება მას აძენი ტყაპი ესროლო და არ დანიშნო მოსამართლედ. მე ვიყავი კურსეზზე, სადაც ქალბატონი მარამი გვიკითხავდა ლექციებს. ის არის გაწინასწორებული, განათლებული, კულტურული, დამოუკიდებელი, კომპეტენტური და პროფესიონალი. დამოუკიდებლობა ნიშნავს კანონის მორჩილებას, კომპეტენტურობა ნიშნავს, რომ შენ გაქვს ის განათლება, რაც მოსამართლეს ჰქონდა, პროფესიონალიზმი ნიშნავს, ფლობდე შენ პროფესიას. რეზო თავკაშვილი ამბობდა, პატრიოტიზმი არ არის პროფესია, პროფესიონალიზმი არის პატრიოტიზმი.

მე ძალიან შეწუხებული ვარ ავორებულის ანტიპარტი. ეს მონაწილეთა პოლიტიკური დენა მტრია. რამდენჯერმე ვიფიქრე სოციალური ქსელით გამოეხმარებოდა ამ თემს, ვიტყვი, რომ უსამართლობაა აძენი ლანდოვაინება-მეთქი, მაგრამ მოვერდებ რაფან ძალიან „აფი“ მკითხველია ბევრი. ყველაფერს პოლიტიკას მაწერენ, არ მინდა ისეთი გამოხმარებები იყოს, რომ გული მეტკინოს.

– **ესევე თქვენ ფიქრობთ რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებელია?**

– დღეს სასამართლო სისტემს დასაცავია. სასამართლო დასაცავი კი არა, თავისუფალი უნდა იყოს, არავის უნდა

ემორჩილებოდეს, არც სატელეფონო ზარს, არც ვინმე გავლენიანი პირის სურვილებს.

ბატონ რეზო ვიბორნიძეს მოსამართლედაც უშუამთხვე და პროკურორადაც. დღეს აქტიური ადვოკატია. შესაბამისად კარგად იცის ბოლო რამდენიმე ათწლეულის სასამართლო ქრონიკები. უპირველეს პირობებში არა მარტო სასამართლო სისტემაში, ზოგადად ქვეყანაში უსამართლო მარჩია.



**რამზო ვიბორნიძე:** ჩვენ ქართველებს რაც გვჭირს, ყველაფერი გამოიწვევია უსამართლობით. არსებობს ტერმინები კანონიერი და სამართლიანი. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი უნდა იყოს როგორც კანონიერი, ასევე სამართლიანი. ჩვენ სწორედ კანონიერება და სამართლიანობა არ გვაქვს ქვეყანაში და ამის ბრალია ყველაფერი. ყველაფერი მომდინარეობს კანონიერებიდან. ბიუჯეტი რომ შეიქმნას, გადასახადი გადამხდელმა დროულად უნდა გადაიხადოს. ბიუჯეტში შესული თანხა სამართლიანად უნდა განაწილდეს. ჩვენ ჰქვია გვაქვს 200 ლარი, ანუ წელიწადში 2 400 ლარი. ამ დროს ზემოთაღებულს აქვთ ხელფასები 15 000 -18 000 ლარი. ესევე ჩვენი მიუღწევი წლის ბენა იმის ერთი თვის ხელფასსაც ვერ უტოლდება. გამოდის ბიუჯეტი უსამართლოდ ნაწილდება.

– **რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართული სასამართლო სამართლიანი გახდეს მოსამართლეების უფალო დანიშნა შეუწყობს ხელს სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას?**

– მიღებულია კანონი და მისი გვერდის ავლა არ იქნება. კანონი საჩემ არსებობს, უნდა აღსრულდეს. თუ არ მოეწონის, გვერდი კი არ

უნდა აფურო, უნდა შეცვალო. კანონი იმისთვისაა, ქვეყანა უკეთესობისკენ წაიყვანოს. თუ ამ კანონით პირიქით ხდება, თვითონ და უკლებს მოდის ქვეყანა, მაშინ აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ჩემი, კონკრეტულად ეს კანონიც უნდა შეიცვალოს. ამ ეტაპზე მოსამართლეები უფალოდ არ უნდა დანიშნონ. მართალია უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დეფიციტია, მაგრამ სადაც აძენი მოეთიხნო, ცოტაც უნდა დაეცადოთ, კანონში ცვლილებები შევიტანოთ და შემდეგ მოხდეს მოსამართლეების დანიშნვა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს რწმენა მანც არ იქნება ხალხში. რა აზრი აქვს, მოქალაქეს მოსამართლის თუ არ ვერა? ვერც ერთ ადამიანს ვერ ნახავი, ის ათკაცანი სია რომ მოსწონდეს.

– **როგორც ვიცით, სასამართლო სისტემაში კადრების დეფიციტია. არის დღეს უზენაეს სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეობა არჩევანის შესაძლებლობა?**

– წლების მანძილზე ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ბევრ თავმჯდომარესთან მქონია საქმანი ურთიერთობა. შემიძლია ვთხარათ, რომ ყველაზე კარგი თავმჯდომარე დღეს ჰყავს ოზურგეთის სასამართლოს. ის ძალიან ობიექტურია. არის ასეთი ხალხი, რომლებიც უზენაეს სასამართლოში გამოდგებიან, მაგრამ არა, გინდა თუ არა, ერთი და იგივე ხალხი უნდა იყვნენ ყველაფერსა და ყოველთვის.

– **თქვენ ალბად იცნობთ 10-კაციან საშუალო მოსამართლეებს, მათ საქმებს რატომ ფიქრობთ, რომ ისინი არ უნდა დანიშნონ უზენაეს სასამართლოში?**

– ძალიან ბევრი მოსამართლეა რომელსაც წინა ხელისუფლების დროსაც კანონიერი განაჩენები გამოჰქონდათ. ზოგის განაჩენი იყო კანონიერი მაგრამ უსამართლო. მაგალითად, თუ დანაშაული ითვალისწინებს ერთიდან - ექვს წლამდე სასჯელს, ვაჩიამს და პირობითს, ამ შემთხვევაში ვაჩიამს თუ მისცემ გადაწყვეტილება კანონიერი იქნება, 6 წელს თუ მისცემ - კანონიერი, მაგრამ უსამართლო. ეს სამართლიანობის პრინციპი იყო ქვეყანაში დარღვეული მთელი 9 წელი. ფაქტობრივად იგივე ვრძელდება დღესაც. მე მოსამართლედ ვიყავი, პროკურორად და გამოძიებულებიც. როცა წნასავდი საქმე არ იყო გამართული, ვაბრუნებდი უკან პროკურატურაში. ახლა ეს შეუძლებელია,

მოსამართლემ განაჩენი აუცილებლად უნდა გამოიტანოს. დადებითი ან უარყოფითი. და როგორი გასამართლებელი იყო ადამიანი საკამელოს პერიოდში? მეორე დღეს თვითონ მოსამართლე მოხვდებოდა ციხეში. შეიძლება განრიდება, მაგრამ ყველასგან გამოიბას ვერ მოითხოვ. საქმეები საიდან მიდოდა მოსამართლეებზე? პრიკურატურიდან. სასამართლო მხოლოდ ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებდა. ტყვეობა რომ შეგეთინა საქმე, განაჩენი დადებოდა. საქმის შემთხვევები, ე.ი. პროკურორები ყველა მუშაობს დღესაც პროკურატურაში. მათ უნდა მზარდი ცოფა ადგეთ კისერზე, მათ არ აქვთ ვერაფერი, მანდამინც სასამართლოზე აქვთ იფიში. თუ სისტემას ასწორებ, მაშინ ყველა რგოლი გაასწორებ. ადვოკატი დავით მამალაძე მიჩვენებს, რომ დანიშნული მოსამართლე ყოველთვის ხელისუფლების მორჩილი იქნება ამიტომ ის უნდა აირჩიონ.

**დავით მამალაძე:** მოსამართლე არც უფალოდ უნდა დანიშნოს და არც ვადით. მოსამართლე უნდა იყოს არჩევითი. მაგრამ ისე არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, საპარლამენტო და ადვოკატური არჩევნები რომ ტარდება. ასეთი არჩევნები გინდ ყოფილა, გინდ არა. დანიშნული მოსამართლე ყოველთვის არის ხელისუფლების მარიონეტი. მოსამართლე უნდა იყოს თავისუფალი.

– **კონკრეტულ, უფალოდ დასანიშნად წარდგენილ მოსამართლეებზე რას ფიქრობთ?**

– თვითონ სისტემს არის დანაშაულებრივი შეგარდამად დღემდე. იფანიშვილის რეჟიმში მურუსიძეზე თუ უნდა ვიხიხის გადატყვება, არ ვიცი. ერთმა ექსპერტმა თქვა,

დღევანდელი რეჟიმი არ კლავს, არ ძლიადობს, მაგრამ ყარსო - ასეთი მდგომარეობა სასამართლო სისტემსაც.



**თამაზ ტრაპაიძე:** ახალგაზრდა ორისტო ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი: – მოსამართლეა დანიშნა შესაძლოა მოხდეს, როგორც უფალოდ ასევე გამოცხადებული ვადით. პრობლემა მოსამართლის უფალოდ დანიშნაში კი არ არის არამედ, იმამ თუ როგორი წესით ხდება მათი წარდგენა თუსტიციის საბჭოს მიერ, განსაკუთრებით საყურადღებოა უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობა შერჩევა რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს შდეგი მთავარი ელემენტები: – თუსტიციის უმაღლესი საბჭოს მთერ უნდა გამოცხადდეს ღია კონკურსი, რაც გულისხმობს შესაძლებლობას ყველა მსურველმა, რომელიც ფორმალურად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ კონკურსში; – კანდიდატის ვალდებულება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მის შესახებ. – საბჭოს მიერ უზენაეს სასამართლოს უფალოდ დანიშნული მოსამართლის თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობის შემოწმება მოხდეს ღია მოსმენით, დამსახურების პრინციპისა და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე; – უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და საბჭოს მიერ პარლამენტისთვის სულ მცირე, 3 კანდიდატის წარდგენა თითოეულ ვაკანსიაზე; – ასევე უნდა ხდებოდეს კანდიდატის სავარი მოსმენა ორდიოულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. მუდას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გადაიღოს გასაუბრების პროცესი.

## დაგანონმებული უსამართლობა

# პარლამენტმა უშე პირთა ელგომარეობის ბართულებას დაუჭირა მხარი

თ. თ. ბავშვიძის დაუნის სიდრომიტა დაავადებული და მინიჭებული აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. მისი ეს მდგომარეობა არის განუკურნებელი. მას არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, გადაწყვეტილების მიღება. ესაჭიროება მზრუნველობა, მოვლა-პატრონობა, მუდაკმენტური მკურნალობა. მინიჭებული სტატუსით მას ეძლევა ფინანსური დახმარება, რომლის შესანარჩუნებლად მისი მხარ-დამცერი პირი, ამ შემთხვევაში მისი რძალი ნ.ე. ვალდებულია ყოველ ხუთ წელიწადში წარსდგეს სასამართლოს წინაშე და წარადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომ თ.თ. არ განკურნებულა განუკურნებელი დაავადების-აგან(?). ეს აუცილებელი გახდა 2015 წლის შემდეგ, რაც კანონში შესაბამისი ცვლილება შევიდა. „სასაცილო იქნებოდა... სატირალი რომ არ იყოს“.

სასამართლოში შმ პირების ინტერესებს წარმოადგენს ორდიოული დახმარების საშასურის ადვოკატი **ა. მემარნიშვილი**, რომლის ინფორმაციითაც ოზ-ურგეთის რაიონულ სასამართლოში უკვე განხილულია დაახლოებით 500-მდე ანალოგიური საქმე.

ა. მემარნიშვილი: „ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხუთი წლის შემდეგ ისევ უნდა განახლდეს ამ საქმეების განხილვა და ეს დროც დაღვა უკვე გავდივართ წრეზე ამ კანონის თანახმად.



ჩემთან მოსული თითოეული მოქალაქე, რომელსაც ამ პროცესის გავლა უწევს, შერაცხვითი გრძობს თავს. ისინი გადიხანებულები არიან, უჭირთ აუცილებელი საბუთების შგროვება სასამართლოში წარსადგენად. მათ ძალიანსხევა სჭირდებათ ამ დოკუმენტების მოსაძიებლად და არა მხოლოდ ძალისხმევა. მართალია, სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებულები არიან ეს პირები, მაგრამ ზოგიერთი მტკიცებულების მიღება, რომელსაც სასამართლო აუცილებლად ითხოვს, ფასიანია.

ნაწილობრივ ვეთანხმები მოქალაქეთა

აზრს. იმ შემთხვევაში, როცა პირს აქვს შმ-ს სტატუსი უფალოდ მინიჭებული და ექსპერტიზის დასკვნითაც ირკვევა, რომ გამოვანძირებულების ან მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია, ზედმეტა მისთვის ხელახლა სასამართლოს მიმართვა.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ხარჯები, რომელთა გაწევაც უწევთ როგორც მოქალაქეებს, ისე სახელმწიფოსაც, არამზნობრივად დახარჯულია. არამზნობრივად იღვირება ადამიანური რესურსიც, რომელიც ამ პროცესების წარმოებისთვისაა დაკავებული.

ორისტებისთან საუბარში გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე მომენტი, რაც პარლამენტართა ნამუშევრის მოტივაციას და სარგებლობას გაუფხვარს ხდის:

**ემზარ ურუშაძე,** ორისტი, ადვოკატი: „2015 წელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მცნებები „მეურვეობა“ და „მზრუნველობა“ შეიცვალა „პირის მზარდაჭერის მიმღებად“ ცნობის ტერმინით. იგი ენიშნება პირს, რომელიც თავისუფლებამოსილებას ვერ ახორციელებს ჯანმრთელობის პრობლებებიდან გამომდინარე. მზარდაჭერის მიმღებად პირის ცნობა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მისი გადასინჯვის პერიოდულობის ვადა არ უნდა აღმატებოდეს ხუთ წელიწადს.

– **რამ გამოიწვია გადაწყვეტილების**

**გადსინჯვის აუცილებლობა?**

– ჩემი აზრით, ეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მხრიდან უნდობლობის საკითხია მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ამ შემთხვევაში სოციალური სამსახურის მიმართ. სხვათა ახსნას ვერ მოვინახვებ. არ შეიძლება 5 წელიწადში მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების დადასტურება. თუ პიროვნება არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ან დაბადებით აქვს გარკვეული დიაგნოზი, რომელიც ვიცით, რომ სამედიცინო თვალსაზრისით განუკურნებელია და თუ მას ვთხოვთ ყოველ ხუთ წელიწადში ეს დაუდასტუროს სასამართლოს, ეს არის სასამართლოსა და ოჯახის ზედმეტი მოცდენა და ხარჯი - ტრანსპორტირება, სამზარულის ექსპერტიზის ექსპერტის, სპეციალისტების მოყვანა, ადვოკატის ყოლა... ხდება დროისა და ფინანსების ხარჯვა საქმეზე, რომლის შედეგად წინასწარაა ცნობილი. გადაიტვირთა ისედაც გადატვირთული სასამართლო. ამიტომ, ძირითადად, ეს არის უნდობლობის საკითხი.

კანონში გაწერილია როგორც მზარდაჭერის ფარგლების შეცვლის, ისე მზარდაჭერის გაუქმების პირობები.

ამ კუთხით დაცულია როგორც პირის ინტერესები, მეორე მხრივ, საზოგადო ინტერესები. მზარდაჭერის შესაძლო არაკეთილსინდისიერებისგანაც დაცულია,



მზარდაჭერი ვალდებულა ყველა 6 თვეში კონტროლის შესახებ ინფორმაცია მარწოდოს მურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას. იგი ვალდებულია შმ პირის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოითხოვოს არაკეთილსინდისიერი მზარდაჭერის ჩამოშორება. სხვა უფლებასთან დაკავშირებით თუ წარმოიშვა პრობლემა, კანონი ითვალისწინებს, რომ დამატებით უფლებასთვის, რაც სასამართლოს წინა გადაწყვეტილებაში არ იყო, დამატებით



# პარლამენტმა უშეპირთა მდგომარეობის ბარათულებას დაუჭირა მხარი

მიღოს გადაწყვეტილება.

2015 წელს შეტანილი ცვლილებით, პირი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობებს, ვალდებულია ყველა სუბსიდიური გამოცხადების სასამართლო?? და იქნა მიღოს დასტური, რომ ადამიანი ისევე სავსებებს მზრუნველობას, რაც სასამართლოს გარეშე ცხადი იყო.

ჩემი აზრით, კანონის ეს ცვლილება ზედმეტია. გადაიტვიტრია სასამართლო, არამიზნობრივი ხარჯი დაეკისრეთ როგორც პიროვნებას, ასევე ბიუჯეტს, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც, წინასწარ ვიცით, არ შეიცვლება, წარმოდგენილი დაგეგმვის მქონე ადამიანის განმარტობა არ გამოიწოდება. სასამართლოს დაევა ფუნქცია, რომელიც მას არ აქვს კანონით: სასამართლო არის მართ-

საჯულების განმხორციელებელი ორგანო, ის არ უნდა მონიტორინგს თავისი გადაწყვეტილებების შესრულებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტილების ასრულებას მონიტორინგს უნდა მუხრევიბისა და მზრუნველობის ორგანო, სოციალური სამსახური, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საკითხების გადაწყვეტილების აღსრულებას ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო, სისხლის სამართლის აღსრულებას ახორციელებს პრობაციის ბიურო. ანუ გამოვლენა ეს უფლებებია.

ამ ცვლილებით, რადგანაც ჩვენ იმევე სასამართლოს გადაწყვეტილების დადასტურებას ვითხოვთ სუთი წლის განმავლობაში, ანუ სასამართლოს პირდაპირ თუ არადაც დაეკისრეთ ის ფუნქცია, რომელიც მის კომპეტენციას არ განეკუთვნება და დაევალი გადაწყვეტილების

აღსრულებაზე კონტროლი, რაც არ შეესაბამება კანონს.

**- რამდენად ლოგიკურია, რომ ადამიანის განმარტობის მდგომარეობა განისაზღვრება სასამართლოს მეშვეობით?**

- საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლოსათვის არანაირ მტკიცებულ? მას, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნას, საგადასმელო ძალა არ აქვს. კონკრეტულ შემთხვევაში ექსპერტიზის, ანუ სამედიცინო დასკვნა საგადასმელოა, ანუ ვადარებით, რომ ეს შესაბამისი სპეციალისტის დასადგენია და არასამართლოს. რატომ უნდა ჩაერთოს სასამართლო? გაუგებარია და მიუღებელია აქ სასამართლოს ჩართვა.

**- რის საფუძველზე, საიდან ჩნდება ასეთი ზედმეტი ბარიერები კანონში? ვინმეს პირადი ინტერესი შეიძლება იყოს?**

- პირად ინტერესს ვერ დავარქმევდი, ალბათ, საკანონმდებლო ინიციატივა რომ მზადდებოდა, არ იყო სრულყოფილად შესწავლილი ეს საკითხები. და პირველი, არ იყო გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალის აზრი.

ბატონი ეშვარის სიტყვებით, სახელმწიფო ბიუჯეტთან გადის სასამართლოს ბაჟის, სამხარულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი? მომსახურების თანხა, რაც საბოლოოდ სოლიდურ, ზედმეტ ხარჯებს იწვევს, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსებისა და დროის მოცდენა, სასამართლოს მუშაობის გართულება.

გართიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-12 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს

ალიაროს შშმ პირთა სამართალსუბიექტობა, მიღოს შესაბამისი ზომები მათთვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი უფლებასწარმოების რეალიზებისათვის. ასევე სახელმწიფოს ვალდებულებაა შეუმსუბუქოს ამ ადამიანებს და მათ ოჯახებს რთული სვედრი. სამსუხაროდ, ჩვენს პარლამენტში მათთვის ზედმეტი ბარიერები შექმნა იზრუნეს.

რატომ ვსაუბრობ დღეს 2015 წლის ცვლილებაზე? დღესათვის დამდგარია დადგენილი გადაწყვეტილების ვადა და სასამართლოებში შესაბამისი პროცესები იმართება, პროცესები, რომელთა ამოცანაც მხოლოდ ერთია – დადასტუროს, რომ სასწავლი არ მომხდარა...

**ლია კილაამ**

## თხილის მცენარის დაავადებათა ეპიფიტოტია (დაავადებათა ავთომეზა)



სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის ზიანის მომტანი დაავადებების არსებობა უხველესი დროიდანაა ცნობილი. უხველეს ანდერტებში აღწერილია ნაცროვანი და ყანგაროვანი დაავადებების არსებობის მაგალითები.

მცენარის დაავადებები გამოწვეული უდიდესი ზარალის და მოსახლეობისათვის კატასტროფული შედეგების საუკეთესო მაგალითია 1845-1846 წლებში ირლანდიაში კარტოფილის ფიტოფტოროზით დაავადება. აღნიშნულმა დაავადებამ კარტოფილის მოსავლის განადგურება გამოიწვია. რის გამოც ირლანდია ითითქმის მოსახლეობის 1/3 დაკარგა. 1 მილიონამდე შიმშილით დაიღუპა, ხოლო ნახევარმა მილიონმა ირლანდია დატოვა და ემიგრაციაში წავიდა.

დაავადებული მცენარის ან მისი პროტექციის გამოყენებით ადამიანისა და ცხოველების სიკვდილის ან დაავადების უარსავე მაგალითებია. მაგალითად „ჭკვიან რქით“ დაავადებისას მისი სკლეოტოციტები ხორბალში ერევა და თუ ასეთი ხორბალი საკვებად იქნა გამოყენებული მიყვება ადამიანების და ცხოველების მოწამვლა და სიკვდილი.

ზღვისპირა და მთიან რაიონებში ხშირია „მათრობელა პურის“ მოვლენა, იგი გამოწვეულია ხორბლის მარცვლის სოკო უსარიუმით დაავადებისას.

1940-1941 წლიდან დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკებში თავი იჩინა ციტრუსების დაავადებამ ეწ ხემლამ-მალსკომ. მალსკომის გამოწვევი სოკო ობლიგატა პარაზიტია, იგი მცენარეში ტოქსინებს გამოყოფს რაც იწვევს მცენარის დაღუპვას. სოკო განსაკუთრებით პათოგენურია ლიმონის მძმართ. 1952 წლიდან ეს დაავადება საქართველოში ძალიან გავრცელდა და მოხდა ეპიფიტოტია-დაავადების აფეთქება, რის გამოც თითქმის განადგურდა ქართული ლიმონი. აღნიშნული დაავადება 1985 წლის შემდეგ აღარ განმეორებულა.

1963 წელს ხანგრძლივი წვიმების გამო გავრცელდა ვაზის ჭრაქი და ბერი რაიონი მილიანად უმოსავლოდ დარჩა. ჭრაქით ვაზი ისე ძლიერ იყო დაავადებული, რომ 1964 წლის მოსავლიც ძლიერ შემცირდა. კიდევ უფრო მეტი ზარალი გამოიწვია ვაზის ჭრაქმა 1972 წელს.

2017-2018 წლებში მოხდა თხილის მცენარის პათოგენ სოკოთა ძლიერი გავრცელება. დაავადებათა აფეთქება-ეპიფიტოტია.

ჩვენს მერ თხილის დაავადებათა შესწავლა 1977-1978 წლიდან დაიწყო. თხილის მცენარეზე გამოვლინებულია 51 სახეობის სოკო. აღნიშნულ სოკოებს თავიანთი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების დადგომისას შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაციონ თხილის კულტურას.

თხილის მცენარეზე ძლიერ გავრცელდა შემდეგი სოკოვანი დაავადებანი: თხილის ყავისფერი სიღამპლე, თხილის ნაცრისფერი სიღამპლე, ფუზარიუმის გვარის სოკოებით გამოწვეული თხილის ნაყოფების სიღამპლე, თხილის ნაყოფების მონილიოზი, თხილის ნაყოფების ფიზიოზი, თხილის ნაყოფების ალტერნარიოზი, თხილის ნაცარი. ზემოთ ჩამოთვლილი სოკოები გასულ წლებშიც გამოვლინდებოდა, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული მავნეობა მინიმალური იყო და თხილის მოსავლიანობაზე არსებით გავლენას არ ახდენდა. გასულ წლებში თხილის ნაცარი ზაფხულში ივლისის მეორე ნახევარში და აგვისტოს თვეში აღინიშნებოდა. მხოლოდ რამდენიმე ფოთილი ჩამოცივდებოდა რასაც პრაქტიკული ზიანი არ მოქონდა. 2018 წელს კი თხილის ნაცარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაციწა თხილის კულტურას.

თხილის დაავადებათა აფეთქება-ეპიფიტოტია გამოიწვია სოკოების განვითარება გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობამ, ფიტოსანიტარული ღონისძიებების ჩატარებისა, მცენარეული ხოჭოს ფართოსანს გავრცელებამ, რომელმაც ინფექცია სხვადასხვა მცენარეებზე გადაიტანა.

მემცენარეობაში საერთოდ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სახეობების გარედან ჰაერის ნაკადით შემოტანილი ინფექცია.

დაავადებების შესაზღვრავად აუცილებელია ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებანი: თხილის მოსავლის აღების შემდეგ საჭიროა გამოიჭრას დასავსებული და მღივრებით დასახლებული ღერო-ტოტები, ძლიერ დაავადებული და გამძმარი ტოტები მოიჭრას და მოხდეს მათი გატანა თხილნარიდან და დაწვა. აუცილებელია ჩამოცივებული ფოთლების და ხეზე შერჩენილი დაავადებული ბურჩხების შეგროვება და დაწვა. თხილის მცენარის ირგვლივ ნიადაგის შემობარვა გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში. ამ დროს დაავადებული მცენარის ნარჩენები რომლებმაც სოკოები და სხვა მავნე მიკროორგანიზმები მოექცევა და იზამთრებს ნიადაგის ღრმა ფენებში და ლპება.

თხილის ნაცარის საწინააღმდეგოდ ნაცრის გამოჩენისთანავე აუცილებელია დაეჭვებული გოგირდის შეფრქვევა ან კოლდური გოგირდის შესხურება. ვეგეტაციის პერიოდში წამლობა შეიძლება 4-5-ჯერ განმეორდეს. ნაცრის საწინააღმდეგოდ ზატოსტარი 0,15-0,2%-იანი, ან ზანისტი 0,15-0,2%-იანი, ან ვეკპოტი 0,15-0,2%-იანი.

აღნიშნული შხამქიმიკატები არა მარტო ნაცარის არამედ ყველა სახის სოკოებისა და ბაქტერიების საწინააღმდეგო, პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებაა. პირველი შესხურება ვეგეტაციის დაწყებამდე, მეორე და მესამე შესხურება ვეგეტაციის პერიოდში 10-15 დღის ინტერვალით.

ასევე აუცილებელია ნიადაგის ხარი-სხობრივი მარცხელების შესწავლა და გამოკვლევების საფუძველზე სწორი განოიერების სისტემის შემუშავება რათა გაიზარდოს თხილის მცენარის მდგრადობა ნებისმიერი დაავადების და მავნელების მიმართ.

ცენტრ „ანასეული“-ს მიერ ჩატარებულია ნიადაგის ათასობით ანალიზი თხილის კულტურის ქვემდებელი შედეგების განალიზებიდან შეიძლება გაგაკეთოთ შემდეგი დასკვნები: როგორც ცნობილია დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში ძირითადად გავრცელებულია მყავე ნიადაგები. თხილის გაშენება ძირითადად ამ მყავე ნიადაგებზე მოხდა ჩაის კულტურის ამოძრკვის შემდეგ. აღნიშნული ნიადაგი თხილისათვის მისაღები არ არის და მოითხოვს მოკირანებას, ნიადაგის განეიტრალებას. გამოკვლეული ნიადაგების უმეტესობა სწორედ ამ თვისებით ხასიათდება. ასევე უნდა აღინიშნოს ორგანული სასუქების გამოყენების აუცილებლობამართალია თხილის კულტურა ძირითადად გაშენდა ნაჩიარ ნიადაგებზე სადაც ჰუმუსის რაოდენობა იყო ძალიან მაგრამ გაშენება მოხდა არა სწორად. ჰუმუსიანი ფენა ნაკვეთიდან გატანილი იქნა ჩაის ბუჩქების ამოძრკვისას, ამიტომ თხილის კულტურის უმეტესი ფართობების ქვეშ ჰუმუსის შემცველობა მინიმუმია. ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში იყენებს ჰერბიციდს რის შედეგად ბალახოვანი ფენა ისაობა და მცირდება სიდერატების გამოყენების შესაძლებლობა. უზჯობისა როგორც ზემოთ აღინიშნა მოხდეს სარეველების გაკვლევა და ჩაკეობა რაც გაზრდის ჰუმუსიან ფენას გამოკვლეული ნაკვეთების უმეტესობაში მინიმუმში იმყოფება საკვები ელემენტების შემცველობაც. ფერმერებს ურჩევთ გაზაფხულზე შეტანონ რთული კომპლექსური სასუქები, რომელმაც ერთ-ერთულად შეიცავდეს საკვებ ელემენტებს აზოტს, ფოსფორსა და კალიუმს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენენ თხილის კულტურის დაავადებათა აფეთქების საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკურ საშუალებებს.


### რუსულან ტაპიამ

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

### ლაზიჩირა ბმარამ

ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

## საზაფხულო საფუაროები საფუტკრეში



გაზაფხულის დადგომისთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფუტკრის ოჯახების დროულად და ხარისხიანად შემოწმებას და დამუშავებას. შემოწმების შედეგად ვადგენთ: საკვების რაოდენობას და ხარისხს, თაფლიანი ჩარჩოები, ჭეო არ იყოს დაობებული, ჩამაქრებული, დაკრისტალბებული; ფუტკრის ოჯახების სიძლიერეს – ბარტყის რაოდენობა, დედის ხარისხი, ასაკი, ბუდის საერთო სანიტარული მდგომარეობა.

ჩამაქრებული, დაკრისტალბებული ჩარჩოები უნდა შეიცვალოს სამარაგო ან სხვა ოჯახებიდან ამოღებული ზედმეტი თაფლიანი ჩარჩოებით. თუ ასეთი არ არის, უნდა გამოვიყენოთ კანდი ან სიროფი. სუსტი ოჯახების ბუდე შევამციროთ, ე. ი. ამოვაცალოთ ზედმეტი ჩარჩოები და დავათბუნოთ, ხოლო უდელო სუსტი ოჯახები შევავართოთ დედთან ოჯახებთან. უსაფრთხოების მიზნით, დედა მოვაქციოთ ხუფში, ან მივცეთ ვალიით.

თუ საფუტკრე წინა წლებში არაკეთილსიმედოდ ითვლებოდა ვეროპული, ამერიკული და ცრუ სიდამპლეების მიმართ, გაზაფხულზე გამოვლიანებული კვების დროს, შაქრის სიროფთან ერთად, პროფილაქტიკის მიზნით, მივცეთ სამკურნალო პრეპარატები, ერთ-ერთი ან მონაცვლეობით. სიღამპლეებზე: ოქსიბაქტოციდი, ოქსივიტი, თიმოლი; ნოზემატოზის სამკურნალოდ, პროფილაქტიკისათვის, – ნოზემატი, ნოზემაციდი, აპიმასი; ვარვატოზის სამკურნალოდ გამოვიყენება აპიტოლი, აპიდეზინი, ბიპინი, ფუმიანი, ვარაკომი.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს გაზაფხულზე უღალო პერიოდში ფუტკრის კვების დროს, არ დავავართოთ სიროფი, არ დავტოვოთ თაფლიანი ჩარჩოები ღიად, რათა არ მოხდეს ფუტკრების ურთიერთთავდასხმა, ე. წ. ქურდობა, რადგან

ქურდობასთან ბრძოლა ძნელია, პროფილაქტიკა კი – ადვილი. მაქსიმალურად შევევიწროვოთ საფრენები სუსტ ოჯახებს.

ფუტკრის ოჯახების ბუდის გაფართოებას დროულად ვახდენთ კარგად ამენებული ჩასაკვერცხი ფიჭებით თანმიმდევრულად, ეტაპობრივად, ოჯახის სიძლიერის მიხედვით. ამენებული ფიჭებით ბუდის გაფართოების შედეგად ვაჩქარებთ ოჯახები გაძლიერებას, მცირდება ნაყრიანობისკენ მიდრეკილება.

გაზაფხულზე, მკვირი ცვალება-დი კლიმატის პირობებში, ბუდის ნაქარვევად გაშლის შედეგად ფუტკრის გუნდი იკვრება და ბარტყი რჩება უფუტკროდ, რაც ხშირად იწვევს ბარტყის გაცივებას, დაღუპვას.

ნუ დავდამთ ფუტკრის ოჯახებს მზის გულზე, რამაც შეიძლება ნაყრიანობა გამოიწვიოს. ამავე დროს, ეს იწვევს ოჯახის ნაყოფიერების დაქვეითებას. სასურველია გვექონდეს საფუტკრეების ყურნალი. ყურნალი სარკვა მეფუტკრისათვის.

დავრგოთ თაფლოვანი ხეები, რაც გაახალისებს თქვენს ფუტკრებსა და ეკოლოგიურად გააჯანსაღებს გარემოს.

აქვე მინდა შეგხრდე ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელებულ ერთ არასასიამოვნო ინფორმაციაზე, რომლის მიხედვით იგეგმებოდა საქართველოში რუსული თაფლის შემოტანა, რაც, რასაკვირველია, არასწორი იქნებოდა. ისე არ დაგვემართოს, „თურამაულის პატრონი ტყვეში ეტებდა პანტასაო“, ქართული მთის რუხი ფუტკარი მსოფლიოში აღიარებულია და სამი ოქროს მედალოსანია, შესაბამისად პროდუქციასაც უნიკალურს იძლევა. ამიტომ მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მას. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი მეფუტკრეები წლების განმავლობაში ვერ ახდენენ თაფლის რეალიზაციას და კარგი იქნება თუ ხელისუფლება ამ საქმეში როგორმე დაეხმარება მათ, მით უმეტეს, რომ ქართული თაფლის ევროპული გზა, საერთაშორისო ნორმების დაცვის ფარგლებში, ითვალისწინებს რეგულაციებს პროდუქციის წარმოებარეალიზაციაში.


### ჯანმედი ცეცხლაამ

გურიის მეფუტკრეთა კავშირი

593 60 99 95.

# მოფერება ასეთი უნდა!

## თეზურ მარხანიშვილი



13 თებერვალს სოფელ დვბაზუს საჯარო სკოლის მომცროსკენიან დარბაზში იმდენი სიტობო ჩადგა, ზამთარი, საუკუნეობითაც რომ გაგრძელდეს, ოდნავადაც ვერ დასუსნავს საწუთროდან ნაადრევად წასული დათუნა ფენტის მშვენიერ სულს, ვის ხსოვნასაც ეს დიდებული ღონისძიება მიემდგინა.

დვბაზუს, ამ ისტორიულ სოფელს, ყოველ დროში, ყოველ სფეროსა და სიტუაციაში ხელეწიფებოდა სეფე სიტყვა და რა კარგია, რომ ეს საშური ტრადი-

ცია დღესაც ძალუმად გრძელდება.

სიტყვებს ვერ ვპოულობთ შობეჭდილებების ბოლომდე გადმოსაცემად, ვერც იმის სრულყოფილად აღსაქმელად, რაც შედეგად, დარბაზს გარეთ, სკოლის ეზოში ემოციურ ექობად მიმოიფანტა. ეს იყო მიზანთან სასწაულებრივად მიახლოება, გამონათება, დვილი შვილის სულის სამზოვზე გამოფანა; ეს იყო ტკივილი, ღამაში მეგობარი რომ გვყავდა, იმის გარდაცვალებით გამოწვეული, გაუნებელი, ად-

ამიანური ტკივილი, უფრო მეტად, ალბათ, მინც ყვილი ჩიტივით გაფრენილი სიცოცხლისა, დათუნა რომ ჰქვია; ეს იყო ტრავმული დამწუხვებული ცრემლების მარგალიტებად გაკრისტალება...

ეკრანზე დათუნას გამოჩენისა და დარბაზში მისი ომახიანი სიმღერის ურუნტელად გაფრქვევის შემდეგ, ოზურგეთის თეატრის დირექტორმა ზაზა ჯინჭარაძემ თქვა: „მხოლოდ მე არ ვიქნები ამ საღამოს წამყვანი. მე დათუნასთან ერთად ვიქნები სცენაზე და ჩვენ ერთად წარუძღვებით ამ ღონისძიებას“.

სიტყვის კაცები დარჩნენ: არც ზაზა ჩამოსულა სცენიდან და არც დათუნა-სარეცენზიო ღონისძიებისა და ამ წერილის ოცდაერთწლიანი სიკეთით დახუნძლული მთავარი პერსონაჟი.

იმეათად მინახავს ემოციურად ასე დამუხტული დარბაზი. ერთხანს გაუძლო, მაგრამ შემდეგ ცრემლის საგუბარს ვერაფერი მოუხერხა აღმზრდელმა მასწავლებელმა, რომელმაც დათუნას გაზაფხულის მოახლოება ამცნო.

რამდენადაც შევატყვე, ხმა გაეზარა კოტე სარიშვილსაც, ვისაც, როგორც მან აღნიშნა, ერთერთ ღონისძიებაზე დათუნასთან

ერთად უნდა ემღერა, მაგრამ, დეუტი არ შედგა, რადგან, სამწუხაროდ, წინდლით დათუნა გარდაიცვალა.

უსამართო სევედა და ამავე დროს საოცრად თბილი მელოდიურობა გასდევდა პედაგოგთა ნამღერს, უკვდავების წყლად დაღვრილ სცენიდან.

„ჩვენ ისეთი მეგობრები ვიყავით, დათუნას წასვლამ ყველას ფრთები დაგვატეხა“, – თქვა თამუნა ლურსმან-აშვილმა, რომელმაც მადლიერება გამოხატა შეკრებილი საზოგადოების მიმართ.

დათუნას რომ უყვარდა, ისეთი ჰანგები ააგუგუნეს მომღერლებმა, დათუნას რომ მოსწონდა, ისეთი ცეცხლი დაანთეს მოცეკვავებმა, თანაც ისე, თითქოს ამ სიმღერებსა და ცეკვებში თვით დათუნაც მონაწილეობდა.

განსაკუთრებული მადლობა და ყველაზე დიდი მადლიერება უნდა გამოვხატო დათუნას დედის, ქალბატონი ნინო გაბედავასადმი. მეუღლისა და ორე-აუდაკარგულმა ქალმა სძლია საკუთარ თავს და ღონისძიებაზე მოსვლით პატივი დასდო შეკრებილ საზოგადოებას. ყველაზე დიდი მადლობა უფალს, რომ დარბაზში ერთმანეთს მოწყურებული და დანატრებული დედა-

შვილის პაემანი შედგა.

პოლიტიკოსებს დიდად არ ვწყალობ, მაგრამ არ ვიქნები მართალი ღონისძიების ორგანიზატორზე, სოფლის ახალგაზრდა მაჟორიტარ დეპუტატზე მარიკა ჩხიკვიშვილზე რომ არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა. არ მიყვარს ეგ გამოთქმა, მაგრამ უნდა ვთქვა: „ჩაგეთვალა“, მარიკა, „ჩაგეთვალა“ და მერე როგორ! მათაც „ჩაეთვალათ“, ვინაც ამ საქმეში გვერდით დაგვიდგათ – სკოლის დირექტორს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“, დათუნას მეგობ-


არს დათო მენაბდესა და სხვებს.

„ეს ცხოვრება უსასრულო ნუ გვინათ, მოეფერეთ, მოეფერეთ ერთმანეთს“ – დააქუხეს ფინალში. დათუნას უყვარდა ეს სიმღერა, – თუ არ ცვდები, სწორედ მარიკა ჩხიკვიშვილმა თქვა სცენიდან.

დათუნას მოფერება ერქვა ამ საღამოს, თუმცა, არც დათუნა დარჩენილა ვალში მომფერებულთა მიმართ. კი, მოფერება ასეთი ვიცითო, – მითხრეს წამოსვლისას დვბაზულებმა სკოლის ეკიშკართან.



## გავულამაზოთ მოსწავლეებს ცხოვრება



ბევრი კარგი, ერუდირებული და მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგი ჰყავს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ განათლების სისტემის მესვეურთა და რეფორმების გაუთავებელმა ცვლილებებმა ქაოსი და დაბნეულობა გამოიწვია სისტემაში. რამაც მასწავლებლის ავტორიტეტის გაუფერულება გამოიწვია. მოიშალა წესრიგი და კანონმორჩილება, ამას დაემატა მშობელთა გულგრილი დამოკიდებულება სკოლისადმი.

ყველა პრობლემა მოგვარებადი იქნება თუ ყველა პედაგოგი თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებს, ეცდება მოსწავლეებს აღუძრას სურვილი სწავლისადმი. სიახლეების ძიებითა და სწავლების მეთოდების ცვლილებებით, თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებით, სკოლის გარეთ, ბუნებაში, საწარმოებში თუ სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებში გაკვეთილების ჩატარებით მოსწავლეებს მივაჩვენოთ ცოდნის კავშირს შრომით საქმიანობასთან. აუცილებელია ყველა ჩამოთვლილი პროცესის აქტიური მონაწილე მშობლებიც იყვნენ. დღეს მასწავლებლებს დიდი

ტვირთი გვაწევს ქვეყნისა და ერის წინაშე. ამიტომაც გვჭირდება ეკონომიკური პირობების დაკმაყოფილება და საზოგადოებისაგან მეტი დაფასება და პატივისცემა. ამჟამად სკოლის წარმმართველი ძალა ასაკოვანი მასწავლებლები ბრძანდებიან. მთავრობა მხოლოდ სიტყვიერი პატივისცემით მოიხსენიებს მათ დედას. წარსულის უპატივცემულობამ გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდობას ამ პროფესიისადმი სურვილი დაეკარგა. ნუთუ დღევანდელ კანონმდებლებს მასწავლებელი არ ჰყავდათ? უფიქრიათ კი, როგორ ცხოვრობს, ან როგორ უნდა იცხოვროს მისმა პენსიონერმა მასწავლებელმა? ხომ არ აჯობებდა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მოგვევით ჩვენთვის პატივი?

როგორც არასდროს, ამ ტექნოლოგიების ხანაში სკოლას სჭირდება კარგი პროფესიონალი სპეციალისტები. საქმის მოსიყვარულე, მაძიებელი, თავისუფალი და არა გამოცდებითა და კრედიტულებით დატრენინგებულ და მოკიდებული მართული მასწავლებლები.

და ბოლოს, აქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

**კლარა შაფაქიძე,**  
ქ. ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის დირექტორის ორდენისანი მასწავლებელი.

## მოგავლიდან მოგავალთა ჩანაწერები

ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მმართველთაგან სურვილით მოტანილი აბგობი

### დაუვიწყარი ლაშქრობა

ჯერ არც ისე დიდი ვარ, მაგრამ ჩვენს მუნიციპალიტეტში და მის გარეთაც ბევრი რამ მაქვს დათვალიერებული, მაგრამ სულ სხვა ყოფილა, საკუთარი ფეხით რომ მოვილი დათვლილი მთას, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ ჩვენი ქალაქიდან.

გაკვეთილს ბუნებაში სულ სხვა ხიბლი ჰქონია. როგორც მის მონაწილეს, არასოდეს დამეწყვდება ქალაქის პარკში ჩატარებული ბუნებისა და სპორტის გაკვეთილი. გაზაფხულის შიან დღეს აქ გავეცანით სხვადასხვა მცენარეებს. ვაწარმოეთ დაკვირვება, აღმო-

ეს ხომ ვომისმთა!

ჩვენ, მასწავლებელთა ერთად, გადაწყვეტილთ, მდინარე ბუჯის ხეობის წარმტაცი სანახების გავლით, დაგველაშქრა ოზურგეთელთა საბით კურორტი.

ვისაც შემოდგომით ჩაქუხა, ბუჯის და მისი მდამოები, ერთმანეთს და დანატრებული დედა-

ნეთზე გადაბული შემოდგომის მიზეზი და თვით ვომისმთა არ უნახავს, იმას, ალბათ, სრული წარმოგონება არ აქვს ბუნების ამ იშვიათ მშენებლებზე.

გული ვიჯერეთ, სპორტული თამაშებით ისე გავთანვეთ ერთმანეთი. ავაგიზიზიზოთ კოცონი, ვიმღ-

ერთ, ვიცეკვეთ, გავაკეთო ჩანაწერები...

ვომისმთა ისე მომეჩონა და შემეფარა, გადაწყვეტილთ, რომ გავიზრდები, ზამთარშიაც ვეწვიო და ბევრი, ბევრი ვისრავლო.

**რეზო დიღაგინიძე.**

რა კარგი იქნება, ყველამ ახაროს და ქუჩებში დარგოს ეს ღამაში მცენარე. წარმოვიფიქროთ, როგორ გულამაზდება ჩვენი ქალაქი?

**ლუკა მითაიშვილი.**

ინდა, როცა გავიზრდები, ვირტუალურად კი არა, რეალურად დავათვალიერო ეს საოცარი სანახაობები და გავცნო მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებას.

## კაღლებს მოწყალეობა კი არა, ზრუნვა სჭირდებათ

ჩვენი ქალაქის ცხოვრების ერთი მეტად მტკივნეული საკითხია ქუჩის ძაღლები. ზოგი მათ მწანწალას ეძახის, მაგრამ, მაპატიეთ და, მანწაწალობის ღირსი უფრო ისინია, ვინც ეს ცხოველები ქუჩაში გამოჰყარა.

ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან რამდენი უტყუარი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ძაღლი ადამიანის უერთგულესი მეგობარია და ვინც მეგობარს ასე გაიმეტებს, იმას

ცდილობენ, მე და ჩემს ძმას სასურველი გარემო შეგვიქმნან. ჩვენი მხრივ, ჩვენაც ვცდილობთ, როგორც შინ, ისე გარეთ, გავეპართლოთ მათ იძულები.

ადამიანი ჰქვია? ნუ მიწყენენ ხელისუფალნი, ალბათ, არ ექცევა სათანადო ყურადღება, თორემ ამდენი ძაღლი ასეთ საშინელ დღეში არ იქნებოდა. მეგანი

რომ ქუჩაში პურს უწილავდეს, ეს არაფერია, ძაღლებს მოწყალეობა კი არა, ზრუნვა სჭირდებათ.

**ნინო ღლონტი**

მეზობლებმა და მეგობრებმა, რასაკვირველია, იცან ამის შესახებ, მაგრამ მინდობა, თქვენაც ცვილნოდით. სულ ეს არის, რაც მინდობა, მეთქვა.

**მარი ანდლუაძე.**

## ჩვენი საოჯახო კვარტეტი

კიდევ ერთი რაღაც უნდა ვითხრობო: ბუჯის ვფანტაზირობ, მაგრამ ყველაზე მეტად სიმღერა მიყვარს, არც არის გასაკვირი, მე ხომ მომღერალთა ოჯახიდან ვარ. სახლში ყველა ვმღერით – მშობლები, მე, ჩემი ძმა. მამაჩემს, რომელიც ახლა აქეთ არ არის, სიურპრიზი

მოუუწყადეთ და დედაჩემის ხელმძღვანელობით, საოჯახო კვარტეტი შევქმნი. პო, დამევიწყა, მეთქვა, რომ დედაჩემი ფოლკლორის ცენტრში მუშაობს და ყველა იქ ვმღერით. საოჯახო კვარტეტი ჩვენს სახლში საღამოობით კეთილხანობს.

მოუუწყადეთ და დედაჩემის ხელმძღვანელობით, საოჯახო კვარტეტი შევქმნი. პო, დამევიწყა, მეთქვა, რომ დედაჩემი ფოლკლორის ცენტრში მუშაობს და ყველა იქ ვმღერით. საოჯახო კვარტეტი ჩვენს სახლში საღამოობით კეთილხანობს.

მოუუწყადეთ და დედაჩემის ხელმძღვანელობით, საოჯახო კვარტეტი შევქმნი. პო, დამევიწყა, მეთქვა, რომ დედაჩემი ფოლკლორის ცენტრში მუშაობს და ყველა იქ ვმღერით. საოჯახო კვარტეტი ჩვენს სახლში საღამოობით კეთილხანობს.

სსრკ

სარედაქციო ფოსტისათვის



გაზეთი „ალიონის“ რედაქცია იუწყება გაზეთის დიდი მემობრის, მფარლისა და კუბლიცისტის, ქალბატონ

სულიკო ლომჯარიას

ბარდაცვალებას და თანაშემწეობას მის ოჯახს. დაიბრძოლა 16 თებერვალს, მშობლიურ სოფელ ჭანიძეთში.

ჯერ კიდევ შეიძლება სოფლის გადაარჩენა

გადავწყვიტე, მესარგებლა ჩემი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, მოკრძალებული რჩევა შემოძებნა-აგაზე-ბინა სოფლის მცხოვრებთა დასახმარებლად.

ისტორიულად ცნობილია სოფელი ყველა დროში, ომი იყო თუ მშვიდობა, ქვეყნის მარჩენალი გახლდათ.

ახლო წარსულში რაიონისა და ქვეყნის ძლიერი ეკონომიკა დაფუძნებული იყო მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაზე, რომელიც იმართებოდა ცნობილი და დამსახურებული მეცნიერების რეკომენდაციებით.

რაიონში ყოველწლიურად 9 200 ჰექტარზე იკრიფებოდა 100-115 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 4600 ჰექტარზე ითესებოდა ერთწლიანი კულტურები, 300 ჰექტარზე მოჰყავდათ ბოსტნეული, საზოგადოებრივ სექტორში ირიცხებოდა 1200 ჰექტარი ციტრუსოვნები. ასევე განვითარებული იყო ისეთი დარგები, როგორცაა მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეხილეობა, მეპატარაფრინველეობა, მეტევანობა

და ა. შ. არეულობის წლებში ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა როგორც სხვა დარგებს, ისე სოფლის მეურნეობასაც მძიმე კვალი დააჩნია. მის გამოძევებულ მიწებზე საუბარი რთულია, შედეგებს კი ყველა კარგად ვაცნობიერებთ.

ახლა მთავარია ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოგვიყვანს.

ჩემი მსოფლმხედველობით, უახლოეს პერიოდში, ყველა სოფელში გამოვლინებულ უნდა იქნეს ისეთი ოჯახები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით და ოჯახური ტრადიციებით ჩაებან სოფლის აღორძინების საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაემახვილოთ მეჩაიეობის დარგზე, ჩაის პლანტაციების განახლებაზე, გადაამუშავებელი ხაზების აღდგენაზე, რადგან ჩაი ყველაზე რენტაბელური კულტურაა ჩვენს პირობებში. აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსურვე-

ლთა მერ შემოთავაზებული წინადადებები, თუ რა მიმართულებით უნდა ჩაერთონ ლონისძიებაში.


ლოდინის დრო არ გვაქვს, ისედაც ბევრი დრო დაგვარგეთ, ჯერ კიდევ შეიძლება სოფლის გადარჩენა.

ვიმედოვნებ, სოფლის მეურნეობაში მოღვაწე სპეციალისტები დაინტერესდებიან აღნიშნული შემოთავაზებებით. საჭიროების შემთხვევაში, მთავრობის დონეზე მიიტანენ საკითხს განსახილველად, თუ რა ფორმით გაეწიოს დახმარება მსურველებს. ჩემი აზრით, უმჯობესია, დაბალპროცენტუანი, გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, ყოველგვარი ბარიერების და წინააღმდეგობების გარეშე.

მერწმუნეთ, სოფლის მცხოვრებთა დახმარებით, სოფელს კვლავ დაუბრუნდება ქვეყნის მარჩენალის სტატუსი.

ციალა ჭანიძევილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



კეთილი დიდილი, ხოლო თვალებიდან სიყვარლის სხივი. უბედნიერესი იყო, როცა პირველი სადამრიგებლო კლასის, უკვე ასაკში წამოწეულმა, მოსწავლეებმა 90 წლის თბილად მიულოცეს.

ქალბატონი გუგული მიხიგური ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა ანასეულის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და პენსიაში გასვლამდე დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულით და თავდადებათ ემსახურა საყვარელ საქმეს. უყვარდა სადამრიგებლო კლასთან სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რასაც დღეს დიდი ხალისით იხსენებენ მისი ყოფილი მოსწავლეები.

მან მისი ცხოვრებით ნათელი კვალი დატოვა სკოლის და მისი მეგობრების ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელი დაუძკვიდროს მის სულს!

სსრკ საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლეგია

ბანათლიშინა და მცხინეძის დამოუკიდებელი პროფკავშირის ოფისის რაიონული ორგანიზაცია

წავიდა ჩვენგან ქალბატონი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე არ მოშორებია სახიდან

სკანვორდი



Scrabble board with 15x15 grid and various words placed within it. Words include: თეატრული, გაფრთხილება, თეატრული, მესრულების სერის ფერწერაში, თუთიყუში, ბოსტნეული მცენარე, ღირებულება, პირველი ქალი, ავსტრიული ფული, ტროპიკული მცენარე, კილობნის ამგები, შემახილი ცეკვაში, ქართველთა ალგაი საფრანგეთში, გლოვა, კოლხთა მეფე, პოეტ იოსებ მამულაიშვილის ფსევდონიმი, რუკების კრებული, მაგნიტური რეინა ქვა, წამლის ფორმა, ცისე-სიმა-გრე თურქეთში, კარგი ამინდი, თარო კელეში, ივანე გოყიელის თაქრა, ლიანდაგის რეინა, მცენარეთ ექიმი ბუნებაში, პირუტყვის ფიცრული სადგომი, მამაკაცის სახელი, სამყნობი მასალა, მცირე მომის ნავე, სოფელი ქალის სახელით, ენერჯის მულტოვობის კანონის აღმოჩენი, ცეცხლის ენა, ღათა თუთაშხიას პერსონაჟი, მე-5 ნოტი, მწერალი სომერსეტ ...

№ 6-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:


სურათზე - დავით კლდიაშვილი; შოუს წამყვანი - შოუმენი; გაზაფხულის ყვავილი ია; მარაოსკუდიანი ფრინველი - ფარშაგანი; დიას - კი; სამხედრო დანაყოფი - ცენტურიონი; სამკურნალო დაწესებულება - ამბულატორია; ფულის გამცემი - მონეტა; ... იოსელიანი - ოტია; კურკოვანი ხილი - ატამი; მიწის საკანი - დილეგი; მამითაი - ნაღი; მე-ნ ასობგერა - ვ; ევჯიბის უფროსი - ამირეჯიბი; იუვეს არგენტინელი ფეხბურთელი - დიბალა; ქალის სახელი - ნათია; შემახილი - აუ; მეფისწულის მზე - ადარი; ღვთისმეტყველი - მერჩულე; თვითმფრინავების სადგომი - ანგარი; ხურო - ღურგალი; მეგრული გვარი - ჩემია; კარგი ამინდი - დარი; კარიბჭე რუსეთსა და საქართველოს შორის - დარიალი; საფეხბურთო კლუბი სიმფეროპოლში - ტავრია; რუსული საინფორმაციო სააგენტო - რია; მინდორი, სადაც თივას ამზადებენ - სათიბი; ფეხით გადაადგილება - სიარული; მდინარე გერმანიაში - რაინი; ცეცხლის ენა - ალი უცნობი სიდიდე - X; ორშაბათი ძველქართულად - მთოვარისა.



# 1841 წლის აჯანყება გურიაში

იხმამდგამა მძაფრული უფლებები

გამომდგამა დასაწყისი ბაზ. „ალიონი“ №5,6



ანრები დასკვნის, „ამოხების მიზეზი იყო სამოქალაქო მმართველობის ფორმები, ხალხისათვის კანონიერი და სასიკეთო. მაგრამ ისეთი, რომელიც არ შეეფერებოდა ამ ოლქის (გურიის - ვ.გ.) ზნეჩვეულებებს და ცხოვრების პირობებს.“ გენერალი ანრები არსად საუბრობს, რომ მმართველობის რეფორმამ მხოლოდ გლეხობის პროტესტი გამოიწვია.

იგი გურიის მოსახლეობის საერთო განწყობილებაზე მიანიშნებს. გენერალი ანრები გურიის აჯანყებას საგსებით მართებულად სენატორ პავლე განის რეფორმასა და 1840 წლის 10 აპრილის კანონს უკავშირებს. რუსეთის ხელისუფლება სამთავროს გაუქმების შემდეგაც, 1840 წლამდე, ანგარიშს უწყვედ გურიის თავადებსა და აზნაურებს, ამ სოციალური ფენის სიმრავლეს, მათ კავშირს აჭარის სანჯაყის მმართველებთან. ყოველივე ამის გამო ხელისუფლება მოქმედებდა ფრთხილად. ამის შედეგი იყო, რომ თავადები და აზნაურები ფორმალურად მინც მონაწილეობდნენ გურიის მართვა-გამგეობაში. 1840 წლის 10 აპრილის კანონით, გურიის მხრად გადაქცევა და მხრის მმართველობიდან თავადებისა და აზნაურების საგსებით ჩამოშორებამ ამ უკანასკნელთა მკაცრი პროტესტი გამოიწვია. საგსებით სწორია გენერალი ანრები, როდესაც, ნებისთი თუ უნებლიედ, იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსეთის ახალ კოლონიურ პოლიტიკას გლეხობაზე ადრე გურიის თავადები და აზნაურები დაუბრუნებდნენ. რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი წერდა: „გურიის აჯანყება, რომელიც სულ ახლახან ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, კერძო კი არა, საყოველთაო იყო. იგი არ განისაზღვრებოდა ხელისუფლებისადმი უბრალო ურჩობით. ამოხების დაწყებით, რომელთა შორის ისეთი თავადები და აზნაურებიც არიან, რომელთაც სამხედრო ოფიცრების წოდებები აქვთ, გამოაცხადეს იმპერატორის ვარების და გურიაში მყოფი ყველა რუსის გაუფლტვის აუცილებლობა.“ როგორც ვხედავთ, გენერალი ოსიპ ანრები რუსეთის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო გურიის მოსახლეობის საერთო ანტირუსულ განწყობილებაზე ხოლო რუსეთის სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი რუსეთის კოლონიური პოლიტიკით უკმაყოფილო გურიის თავადებისა და აზნაურების მიერ დაწყებულ საყოველთაო ამოხებაზე მიანიშნებს.

მასთან ერთად იცადნენ ოზურგეთს შეამოხეთა წინააღმდეგ.“ 1841 წლისათვის გურიაში თავადებისა და აზნაურების 500 ოჯახზე მეტი ცხოვრობდა. თუ ჩავთვლით, რომ თითო ოჯახში ერთი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი მინც იყო (თუმცა ეს ციფრი გაცილებით დიდია), გამოდის, რომ რუსებს მხარი ბრძოლისუნარიანი თავადებისა და აზნაურების შესამდგამც არ დაუჭირა! ოფიციალური რუსული დოკუმენტების მიხედვით, აჯანყებას მიუძღვნენ და მას ხელმძღვანელობდნენ: რუსეთის ვარის პრაპორშნიკი თავადი ამაკო შალიკაშვილი, თავადი ქიხოსრო გუგუნავა, თავადი დავით გუგუნავა. სამივენი აჯანყების დაწყების დროისათვის გურიის მილიციაში (სახალხო ლაშქარში) მსახურობდნენ, მაგრამ მალე ოზურგეთიდან გაიქცნენ. აჯანყების მეთაურთა შორის 7 აზნაური იყო: აბესალოვ, სვიმონ ქარცივაძე, სვიმონ ჭყონია და სხვები. აჯანყებაში ასევე მონაწილეობდა 2 მღვდელი, რომელთაგან ერთი გამოძების დროს გარდაიცვალა.

ამრიგად, 1841 წლის გურიის აჯანყებაში მთავარი მხარდამხარ იბრძოდნენ თავადები, აზნაურები და გლეხები. აჯანყება მიუღწევად გურიაში მოვიდა. მიუხედავად ამისა, მის ხელმძღვანელებს კარგად ესმოდათ, რომ მართლ გურულელებს რუსეთის ვარის დამარცხება გაუჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ აჯანყებულები წერილებს აგზავნიდნენ ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის სოფლებში და მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.

**3. აჯანყების დასაწყისი.**  
გურიის აჯანყება 1841 წლის 22 მაისს დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი საგდასახადო სისტემის მიუღწევლობა იყო გლეხობისათვის. ხელისუფლებამ ეს კარგად უწყობდა, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა, რადგან დარწმუნებული იყო იმაში, რომ მოსახლეობა ახალ საგდასახადო სისტემას შეეგუებოდა. 22 მაისს მოხელეები სოფელ ლანჩხუთში მივიდნენ და გადასახადის აკრეფა სცადეს, მოსახლეობამ ისინი სოფლიდან გააძევა. გურიის მხრის ლანჩხუთის უბნის მსაჯულმა თავადმა ბარათაშვილმა გლეხების პროტესტს ყურადღება არ მიაქცია და უბნის სხვა სოფლებში გადასახადის აკრეფა გააგრძელა. სოფელ აკეთში, სადაც როგორც საბატონო, ისე საზნაური გლეხები ცხოვრობდნენ, გლეხებმა ბარათაშვილს განუცხადეს: მომხადებელი არა ვართ ფულადი ბეგარის გადასახდელოდ, ცოტათივე გვადროვეთო. ბარათაშვილმა გლეხების წინააღმდეგ არ მიიღო, გლეხები იძულებული გახდნენ, გადასახადის საწინდარად ოჯახებიდან სხვადასხვა ნივთი მიეცათ. ზოგიერთი გლეხი გადასახადის ამკრებებს შინ არ დაუხვდა, ამ ოჯახებიდან ნივთები პატრონთა დაუკითხავად წაიღეს. ორი დღის შემდეგ, 24 მაისს, აკეთილმა გლეხებმა შეიტყვეს, რომ ლანჩხუთელ

გლეხებს გადასახადის გადახდაზე უარი უთქვამთ. იმავე დღეს აკეთილები: **ჩუქა, გოგია, ათან ვადაჭკორიები, დათა მერულიძე** და **მარტინ ლანჩხაძე** თავს დაესხნენ გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს, კეტებით სცემეს, თავბარი დაუხისხლანეს და 11 ვერცხლის მანეთი წაართვეს. მსაჯულმა ბარათაშვილმა შეკრიბა რამდენიმე თავადი **შალიკაშვილების** გვარიდან და რამდენიმე აზნაური და აკეთილების დასასჯელად გაემართა. შევიდა თუ არა ბარათაშვილის რაზმი აკეთში, გამოსვლის მოთავე გლეხები გაიქცნენ. ბარათაშვილის ბრძანებით, გადასახადის ანგარიშში ამ გლეხების სახლებიდან სამი ქვაბი წაიხილეს და ორი ძროხა წაიხილეს. სანამ გადასახადის ამკრეფი ეზო-ეზო დადიოდა, ჩუქა, ათან და გოგია ვადაჭკორიების მეთაურობით დაახლოებით 50 აკეთელი გლეხი შეკრიბა. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხანჯლებითა და თოფებით. გაბოროტებულმა გლეხებმა ბარათაშვილი და მისი რაზმი გააქციეს, ზოგიერთს სახლამდე მისდევს და ქვებით კარ-ფანჯრები ჩაუღწევს. შეტაკების დროს თავში ხანჯლით დაჭრეს აზნაური **ალექსანდრე აყელი**, ხელში დაიჭრა გლეხი **გაბრიელ ჩხაიძე**, ამის შემდეგ აკეთელი გლეხების ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი.

1841 წლის 23 მაისს ლანჩხუთისა და აკეთის გლეხები, დაახლოებით 300 კაცი, თოფებითა და კეტებით შეიარაღებული, მსაჯულ ბარათაშვილის სახლს მადგა და მას გურიის მხრის უფროსისათვის წარსადგენი მოთხოვნები გადასცა.

გლეხები მოთხოვნდნენ: 1. ახალი ფულადი გადასახადის გაუქმებას; 2. დანაშაულის პატიებას მათთვის, ვინც გადასახადის აკრეფას წინააღმდეგობა გაუწია; 3. სოფელ აკეთის ნაცვლის დაუყოვნებლივ გადაყენებას.

გურიაში 1841 წლის 22-28 მაისს განვითარებული მოვლენები რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო **ჰასან ბეი თავდერიძე**. ლანჩხუთისა და აკეთში დაწყებულ გამოსვლებამდე, 1841 წლის 3 მაისს, ოსმალეთის მთავრობამ სულეიმან ბეი გადააყენა და ქობულეთის სანჯაყის მმართველად კვლავ ჰასან ბეი დანიშნა. 1841 წლის მაისის ბოლოს ჰასან ბეი თავდერიძემ დაარღვია 1829 წლის ადრიანოპოლის საზღვარი, დიდძალი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარიც იყო და გურიის სოფელი **ქაქუთი** და მისი მიდამოები დაიკავა. ჰასან ბეიმ სოფლის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ისინი ოსმალეთის ქვეშევრდომები არიან და რუსეთის ხაზინის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა არ ევალებათ. ამჟამად იყო, რომ ჰასან ბეი თავდერიძე გურიაში დაწყებული აჯანყების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა. მისი მიზანი იყო ქობულეთის სანჯაყის მოსახლეობის სოფლების მიტაცება. საქართველო-იმერეთის გუბერნატორს, ცხადია, იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ სასწრაფოდ დაედგინა: ჰასან ბეი თავდერიძე თვითნებურად მოქმედებდა თუ ოსმალეთის მთავრობის დავალებით. ამიტომ იყო, რომ საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა **სვიმონ კანანოვმა (კონანოვმა)** თბილისის სამხედრო გუბერნატორსა და ამიერკავკასიის მხრის სამოქალაქო ნაწილის მმართველს გენერალ-ლეიტენანტ **მიხაილ ბრაიკოს (ბრაიკის)** სთხოვა მიეღო ზომები, რათა ოსმალეთის მთავრობას მოსახლეობის რაიონების მმართველად არათუ არ დაენიშნა ჰასან ბეისნაირი ადამიანები, არამედ ისინი საბუ-

დამოდ გაეხევიან იქიდან. სანამ თბილისის სამხედრო გუბერნატორი მომხდარის შესახებ პეტერბურგს აცნობებდა, ჰასან ბეი დაკავებულ ტერიტორიას არ ტოვებდა და მხარდაჭერას უცხადებდა აჯანყებულებს. ასე დაიწყო აჯანყება გურიაში.

## აჯანყების პირველი ეტაპი (1841 წლის მაისი-ივნისი)

**1. აჯანყების გაძლიერება.**  
გურიის მხრის უფროსი **აიკენო** ვერ მიხვდა, რომ ლანჩხუთისა და აკეთში დაწყებული გლეხთა გამოსვლები უბრალო მღელვარება არ იყო. მხრის უფროსი აიკენოს ტაქტიანი მოქმედებით შექმნილი ხალხი დაემშვიდებინა, კრძოდა, დროებით მინც უნდა აკრძალა ფულადი გადასახადის ნაცვლად გლეხებისათვის მინაური საქონლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ჩამორთმევა. ამის ნაცვლად, მან გადაწყვიტა, გლეხთა გამოსვლები სასწრაფოდ აღეკვეთა, რათა სხვებს „მაცდური მაგალითი“ არ მისცემოდათ. აიკენომ საქართველოს სახაზო (სასაზღვრო) ბატალიონიდან გამოიწვიო რაზმი. რაზმში, რომელსაც პორუჩიკი **სტეპანოვი** მეთაურობდა, 8 უმცროსი ოფიცერი და 100 ვარისკაცი იყო. რაზმთან ერთად აიკენომ მოიარა სოფლები **აკეთი** და **ზომლეთი**. გადასახადის დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნას გლეხები, ერთი შეხედვით, მშველად შეხვდნენ. ტყეში იმალებოდა მხოლოდ 7-8 გლეხი, რომლებიც წინა დღეებში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. სწორედ ტყეში გასულთა წაქეზებით 1841 წლის 30 მაისს გადასახადის გადახდაზე უარი თქვეს სოფელ **ვანის** გლეხებმა. აიკენომ პირუჩიკ სტეპანოვის ასული ვანისკენ დაძრა. მხრის უფროსმა შეკრიბულ გლეხებს განუცხადა: ამიერიდან მხოლოდ ფულად გადასახადს გადაიხდით და შრომითი ბეგარა აღარ დაგეგმებათ. სოფელ ვანის გლეხები მშველად შეხვდნენ ამ განცხადებას, გარეგნული სიმშვიდე იყო სხვა სოფლებშიც. ერთადერთი, რასაც აიკენომ ვერ მაღწია, ტყეში გასული გლეხების შეგრობა იყო. აიკენომ ლანჩხუთის გარშემო მდებარე სოფლების შემოღვა ვეღარ გაბედა, „ამოხებას საგსებით მოსპობილად“ მიიჩნია და 31 მაისს სასაზღვრო ბატალიონის ასულთან ერთად ოზურგეთში დაბრუნდა.

გურიის მხრის უფროსი აიკენოს წყალობით შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობის შესახებ არაფერი უწყობდნენ საქართველო-იმერეთის სამხედრო გუბერნატორმა და სამოქალაქო გუბერნატორმა. 1841 წლის ივნისის დამდეგს გლეხთა მღელვარება უკვე აჯანყებაში გადაიზარდა. სოფელ აკეთის თემში 200 გლეხი შეიარაღდა. რაზმის შექმნის ორგანიზატორები იყვნენ ძმები **ჩუქა, ათან** და **გოგია ვადაჭკორიები**. 1841 წლის 1 ივნისს რაზმი მდინარე სუფსაზე გადავიდა და ოზურგეთისაკენ გაემართა. აკეთიდან ოზურგეთისაკენ მიმავალი რაზმი თანდათან იზრდებოდა. საგანგებო საყვირებით გლეხები მეზობელ სოფლებს ამცნობდნენ აჯანყების დაწყებას. ისინი ძირითადად თოფებითა და დამაჩებით იყვნენ შეიარაღებულნი. საღამოს რაზმმა ოზურგეთის მაღლია, მაგრამ გურიის მხრის ადმინისტრაციულ ცენტრში არ შესულა, გზა გააგრძელა და სოფელ **შემოქმედში** დაბანაკდა. შემოქმედი თავადის ქალ **ელისაბეგურიელის** ეკუთვნოდა. მოლაპარაკების მიზნით გლეხებმა მხრის უფროსთან შეხვედრა ითხოვეს. აიკენოსათვის მათ თავიანთი მოთხოვნები უნდა წარედგინათ. მხრის უფროსი შემინდა, აჯანყებულებს არ შეხვდა

და მათთან მოლაპარაკებლად 4 მოხელე გაგზავნა. გლეხებმა მოხელეებთან მოლაპარაკებაზე უარი თქვეს.

შემოქმედში აჯანყებულებმა შემდგომი მოქმედების გეგმა შეიმუშავეს. გეგმის ტექსტი ჩვენთვის უცნობია. გურიის მხრის უფროსისა და საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის მიერ აგენტურული თუ სხვა საშუალებებით მოპოვებული მასალის მიხედვით, შემოქმედში შემუშავებული გეგმა ასეთი უნდა ყოფილიყო: აჯანყებულებს უნდა შემოეველოთ გურიის ყველა სოფელი, ლაშქარი შეეკრიბათ და ოსმალეთის საზღვართან, მდინარე **ჩოლოქის** მარჯვენა ნაპირზე, დაბანაკებულიყვნენ. აქ უნდა შეემუშავებინათ გურიის მხრის უფროსისათვის გადასაცემი მოთხოვნები. თუ მხრის უფროსი აჯანყებულთა მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, უნდა დაწყებულიყო შეტევა ოზურგეთზე. მდინარე ჩოლოქის ნაპირზე დაბანაკება ორი მიზეზით უნდა ყოფილიყო განპირობებული: ჯერ ერთი, ამ დროისათვის აჭარიდან გურიაში შემოჭრილი იყო ჰასან ბეი თავდერიძე და სოფელი ქაქუთი და მისი მიდამოები ეკავა. ჰასან ბეი აჯანყებულებს შეიარაღებით დახმარებას ჰპირდებოდა; მეორეც, მდინარე ჩოლოქის ნაპირზე დაბანაკებულ აჯანყებულებს ზურგი დაცული ექნებოდათ და, თუ რუსეთის ვართან ბრძოლაში დამარცხდებოდნენ, აჭარას შეაფარებდნენ თავს. აჯანყებულები შემოქმედებიდან 1841 წლის 4 ივნისს სოფელ ლიხაურში გადავიდნენ. აქ მათ რიგებს შეემატა ახალი რაზმები გლეხების: **ოთარ თოიძის, გოგინა გორდელაძის**, თავად **მიხეილ მაქსი-მელიშვილის**, აზნაურების: **გიტო გოგორიკიძისა** და **სვიმონიკა გოგო-ლიშვილის** მეთაურობით.

**ლიხაურში აჯანყებულთა რიგების მნიშვნელოვნად გაზრდასთან ერთად შეიცვალა აჯანყების სოციალური ბაზა. ამ დროიდან აჯანყებულთა სოციალური შემადგენლობა აღარ იყო გლეხური, აჯანყებაში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საბატონო და საზნაური გლეხები, აზნაურები და თავადები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გურიის აჯანყების ნამდვილი მიზეზი ახალი საგდასახადო სისტემა კი არ იყო, არამედ რუსეთის მიერ გურიის სამთავროს გაუქმება და რუსული მმართველობის დამყარება მისთვის დამახასიათებელი ყველა მანკიერი მხარით.**

ლიხაურში აჯანყებულებმა სამოქმედო გეგმა შეცვალეს და, იმის მაგივრად, რომ მდინარე ჩოლოქისაკენ წასულიყვნენ, ისევ ოზურგეთისაკენ შემობრუნდნენ. გეგმის ცვლილების მიზეზი მთლად ნათელი არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქობულეთის ბეის ჰასან თავდერიძესა და აჯანყებულთა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობის შედეგი იყო. აჯანყებულებისათვის ძნელი ამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო, რომ ჰასან ბეის საბოლოო მიზანი გურიის ოსმალეთის შემადგენლობაში გადასვლა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გურიის ნაწილის მიტაცება იყო.

(საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918, გვ. 503-505)  
**გაგრძელება იქნება)**  
**მანსტანგ ბურული**



